# საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

## ბრძანება N 2-1168

29/11/2019

ქ. თბილისი

**თბილისისა და მცხეთის მუნიციპალიტეტებში, სს „კავკასიის ქარის კომპანიის“ თბილისის ქარის ელექტროსადგურის (დადგმული სიმძლავრე 54 მგვტ) მშენებლობისა და ექსპლუატაციის, 220 კვ ეგხ-ის გაყვანის და 220 კვ ქვესადგურის განთავსების პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ**

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის II დანართის მე-3 პუნქტის 3.9 ქვეპუნქტის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. გაიცეს თბილისისა და მცხეთის მუნიციპალიტეტებში, ძეგვისა და ლისის თემების ტერიტორიაზე სს „კავკასიის ქარის კომპანიის“ თბილისის ქარის ელექტროსადგურის (დადგმული სიმძლავრე 54 მგვტ) მშენებლობისა და ექსპლუატაციის, 220 კვ ეგხ-ის გაყვანის და 220 კვ ქვესადგურის განთავსების პროექტზე სკოპინგის დასკვნა N125 (26.11.2019წ.);
2. სს „კავკასიის ქარის კომპანიამ“ სავალდებულოა გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N125 (26.11.2019წ.) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სს „კავკასიის ქარის კომპანიას“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სს „კავკასიის ქარის კომპანიის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და მცხეთისა და თბილისის მუნიციპალიტეტების აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფებზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი